სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 აპრილი, 2026 წ.

ბრძანება №01-02/74

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2031წწ) და სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2027წწ) მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის №06-01/128 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიისა", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №06-01/20 დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2027 წლები), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის №06-01/21 დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2027 წლები), ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის 2026 წლის 16 აპრილის №439141 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2031 წლები) და სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2027 წლები) შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით შეიქმნას **მონიტორინგის ჯგუფი**, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართში აღნიშნული შემადგენლობით.**

2. მონიტორინგის ჯგუფმა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N06-01/128 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით", ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით (2025-2031 წლები) და სამწლიანი სამოქმედო გეგმით (2025-2027 წლები).

3. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ–ს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის №01-02/232 ბრძანება.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულსა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,ბსუ–ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2031წწ) და სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2027წწ) მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 აპრილის №01-02/74

№1 დანართი

ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2025-2031 წლები) და სამწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2027 წლები) შესრულების მიმდინარეობის **მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა:**

1. ტიტე აროშიძე, რექტორი - მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. გიორგი ქათამაძე, რექტორის მოადგილე - ჯგუფის წევრი;
3. თამარ სირაძე, რექტორის მოადგილე - ჯგუფის წევრი;
4. მერაბ დიასამიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;
5. ვლადიმერ ღლონტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;
6. ბესიკ ნარაკიძე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
7. გიორგი თავამაიშვილი, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი - ჯგუფის წევრი;
8. ნინო მხეიძე - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი - ჯგუფის წევრი;
9. როინ მალაყმაძე - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი - ჯგუფის წევრი;
10. მარიამ მეტრეველი - ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი - ჯგუფის წევრი;
11. ბადრი გეჩბაია, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი - ჯგუფის წევრი.